საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 367/ს
29/09/2022

367-21-4-202209291220

შპს „ემ თი ეის“ კურორტ გუდაურის ხელოვნური გათოვლიანებისთვის 95 600 მ³ მოცულობის წყლის რეზერვუარის (ხელოვნური წყალსაცავის მოწყობა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე“ გადაცემის შესახებ

2022 წლის 23 სექტემბერს განცხადებით მოგვმართეს შპს „ემ თი ეისა“ და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორებმა და ითხოვეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა.

2016 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ კურორტ გუდაურის ხელოვნური გათოვლიანებისთვის 95 600 მ³ მოცულობის წყლის რეზერვუარის (ხელოვნური წყალსაცავის მოწყობა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №17 (28/03/2016) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიამ“ შეიცვალა საფირმო სახელწოდება და ჩამოყალიბდა შპს „ემ თი ეის“ სახელით (იგივე საიდენტიფიკაციო ნომრით). შესაბამისად, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2022 წლის 25 მაისს გაიცა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს №111/ს ბრძანება „შპს „ემ თი ეის“ კურორტ გუდაურის ხელოვნური გათოვლიანებისთვის 95 600 მ³ მოცულობის წყლის რეზერვუარის (ხელოვნური წყალსაცავის მოწყობა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სააგენტო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ემ თი ეის“ კურორტ გუდაურის ხელოვნური გათოვლიანებისთვის 95 600 $მ^3$ მოცულობის წყლის რეზერვუარის (ხელოვნური წყალსაცავის მოწყობა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 25 მაისის №111/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“;
2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ უზრუნველყოს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 25 მაისის №111/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ და შპს „ემ თი ეის“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა“ და შპს „ემ თი ეის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო